




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 121

2018 წლის 14 დეკემბერი

ხაშური



გაზეთ „ხაშურის მოამბის“  
ფუნქციონირების 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ააიპ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ (ს/კ 443860984) ფუნქციონირებისათვის, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის კულტურულ, სპორტულ და სხვა სახის ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის განთავსება ბეჭდურ მედიაში, საჭიროა დამტკიცდეს „გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების 2019 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების და მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების 2019 წლის პროგრამა“ საერთო ბიუჯეტით 40 800 (ორმოცი ათას რვაასი) ლარი. დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ (ს/კ 443860984).
3. განკარგულება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი



გაზეთ „ხაშურის მოამბის“  
ფუნქციონირების 2019 წლის პროგრამა

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ფუნქციონირების ხელშეწყობა;  
ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება;  
მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობა;  
შემოქმედებითი და ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა.

**მუხლი 2. პროგრამის არსი**

პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ა.ა.ი.პ გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დაფინანსებას წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელების მიზნით.  
„ხაშურის მოამბის“ რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის გამოცემას კვირაში ერთხელ და ლიტერატურული დამატების გამოცემას თვეში ერთხელ.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 40 800 ლარი, რაც გათვლილია რედაქციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე, გაზეთისა და მისი ლიტერატურული დამატების ბეჭვდაზე, ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

სულ სუბსიდიის ოდენობა	40 800
მათ შორის შრომის ანაზღაურება	31 800
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9 000

**მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დროულად მიიღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე.

**მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა საზოგადოებრივ აქტივობებში.